თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის

ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში

სამსახური, განვლილ საანგარიშო პერიოდში, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების თანახმად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

სამსახურს ექვემდებარება ორი განყოფილება (ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება).

სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს ზემდგომი ორგანოებისაგან მიღებული განკარგულებების შესრულება, საკითხების მომზადება, მუშაობა მუნიციპალურ პროგრამებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ და ახალგაზრდულ პროექტებზე, წერილებისა და განცხადებების განხილვა გადამოწმება და მათზე საპასუხო წერილების მომზადება. მოქალაქეების მიღება და მათთვის სრულყოფილი განმარტებების მიცემა, სფეროს შესაბამისი, მერიის დაქვემდებარებაში მოქმედი ა.(ა).ი.პ.-ების კოორდინაცია.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას განვლილ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 600 000 ლარს. პროგრამით დღეისათვის ისარგებლა 1590 პირმა.

დაფინანსების თანხა ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარებით ისარგებლა 281 ბავშვმა, რისთვისაც ჯამში გაიხარჯა 62 200 ლარი;**
- **დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიური დახმარებით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 10 400 ლარი.**
- **ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულმა 15 პირმა მიიღო დახმარება ტრანსპორტირების დაფინანსების მიზნით ჯამში 36 200 ლარი;**

- ქირით უზრუნველყოფის დახმარებით ისარგებლა 6 უსახლკარო ოჯახმა, გაიხარჯა 10 100 ლარი.
- სოციალურად დაუცველის, იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ დასაფარად დახმარება გაეწია 43 ოჯახს 12 900 ლარით; საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 15 ოჯახს ჯამში გაეწია სულ 7500 ლარის დახმარება;
- ხანდაზმულ (90 წლის და უფროსი ასაკის) 43 მოქალაქეს გაეწია დახმარება სულ 5 200 ლარი; მათ შორის ერთ 100 წლის ქალბატონს 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვსა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირს, სულ 112 ბენეფიციარს გაეწია 56 000 ლარის დახმარება;
- დედით, ან მამით ობოლმა 87 ბავშვმა მიიღო დახმარება 17 400 ლარით;
  9 ოჯახს გაეწია დახმარება ბავშვის შეძენის გამო 1 800 ლარის ოდენობით.
- 149 იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა ერთჯერადი დახმარების სახით მიიღო 14 900 ლარი;
- 20 მარტოხელა მშობელს გაეწია 6000 ლარის დახმარება;
- სამედიცინო მომსახურებისთვის დახმარება გაეწია 454 პირს, რაზედაც საერთო ჯამში გაიხარჯა 246 468.76 ლარი;
- მედიკამენტების დაფინანსებისთვის დახმარება გაეწია 247 ბენეფიციარს, რაზეც გაიხარჯა 64 833. 39 ლარი;
- ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცვლთა დახმარების ცენტრის ბენეფიციართა სიაში ჩაირიცხა 66 ახალი ბენეფიციარი. საანგარიშო წლის განმავლობაში უფასო სასადილოში ყოველდღიური ცხელი სადილით დახმარება მიიღო ქ. თეთრიწყაროში მცხოვრებმა 100-მდე პირმა, ხოლო სოფლად მაცხოვრებელმა 400-მდე ბენეფიციარმა თვეში ერთხელ მშრალი პროდუქტით.

უსახლკაროთა აღრიცხვისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის ფარგლებში 4 ოჯახს მიენიჭა უსახლკაროს სტატუსი.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობითა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის-გუბერნიის თანადგომით, ა(ა)იპ ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების ფონდმა“ გადაადგილების უნარს მოკლებულ 10 პირს გადასცა ეტლი და დამხმარე საშუალება.

ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დამარების ცენტრი“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აერთიანებს 16 საბავშვო ბაღს სხვადასხვა დასახლებაში და ერთ უფასო სასადილოს თეთრიწყაროში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისთვის.

2023 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ა.(ა).ი.პ. „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებდა 16 საბავშვო ბაღი, 673 აღსაზრდელით. თითოეულ საბავშვო ბაღში მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. აღნიშნული წელი გამოირჩეოდა სიახლეებითა და წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებით.

2023 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა HACCP (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების) სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის დასანერგად ყველა საბავშო ბაღში, დიდწილად შესრულდა და გამოსწორდა სურსათის უვნებლობის სააგენტოსგან მიღებული რეკომენდაციები. ასევე მიმდინარეობს HACCP-ის პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული ხარვეზების გამოსწორება და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვა. შეიქმნა HACCP-ის სამუშაო ჯგუფი.

2023 წელს ყოველ კვარტალში განხორციელდა წყლის ანალიზების გაკეთება, 2022 წელს 14 საბავშო ბაღში ხდებოდა სასმელი წყლის შეტანა, 2023 წელს ეს პრობლემა საგრძნობლად აღმოიფხვრა და წლის დასაწყისში 12 ბაღში ხდებოდა სასმელი წყლის შეტანა, წლის ბოლოს კი ეს პრობლემა თითქმის ყველგან მოგვარდა და დღეს მხოლოდ ერთეულ ბაღებში ხდება წყლის მიწოდება.

აღსაზრდელებზე დაკვირვებით და ბაღის მენეჯერებთან შეთანხმებით განხორციელდა საჭიროებებზე მორგებული ცვლილება მენიუში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბაღების კომპიუტერიზაციის კუთხით. ყველა საბავშვო ბაღი აღიჭურვა კომპიუტერებითა და პრინტერებით. წარმოებს ბაღებთან ონლაინ კომუნიკაცია, აღმზრდელები ინტენსიურად აზიარებენ თავიანთ ყოველდღიურ აქტივობებს, რაზე დაკვირვების შედეგად, ცენტრში შექმნილი მეთოდური მონიტორინგის ჯგუფი გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

ადმინისტრაციის მიერ წელიწადში ორჯერ ხორციელდება საბავშვო ბაღების საჭირო რესურსებით (ლიტერატურა, საკანცელარიო მასალები, ჰიგიენური საშუალებები და სხვ.) მომარაგება. წელიწადში 4-ჯერ ხორციელდება დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია.

2023 წელი ასევე გამოირჩეოდა თანამშრომლების პიროვნული და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის კუთხითაც. აღმზრდელთა 100% გადამზადდა აღმზრდელ-პედაგოგის 66 საათიანი სავალდებულო ტრენინგ-მოდულით. ასევე კადრების უმრავლესობა ჩართული იყო ტრენინგებში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორებიცაა: "კურიკულუმი", "ინკლუზია", "პირველადი და გადაუდებელი დახმარება".

"კივიტას გეორგიკას"-თან თანამშრომლობით ქ. თეთრიწყაროს N1 და დაბა მანგლისის საბავშვო ბაღები აღიჭურვა განმავითარებელი რესურსებით.

2023 წელი მნიშვნელოვანი იყო ავტორიზაციის მიმართულებითაც, სამსახურის, საბავშვო ბაღების ადმინისტრაციის და უშუალოდ საბავშვო ბაღების ჩართულობით განხორციელდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონით დადგენილი თვითშეფასების პროცესი.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად ატარებს შეხვედრებს კურიკულუმის დანერგვის საკითხებში ტრენერებთან.

2023 წელი გამორჩეული იყო საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით, აშენდა 2 საბავშვო ბაღი სოფ. წინწყაროსა და სოფ. ფარცხისში.

საბავშვო ბაღების ადმინისტრაციაში შეიქმნა ვიდეო-მონიტორინგის სამსახური, რამდენიმე ბაღი აღიჭურვა ვიდეო-კამერებით, ასევე ინტერნეტით. 2024 წელს იგეგმება ყველა ბაღში ვიდეო-კამერების დამონტაჟება, ასევე ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის შექმნა.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველთა სამსახურს, ქ. თეთრიწყაროში მცხოვრები ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქ. თეთრიწყაროში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1000-ს, ყოველდღიურად უზრუნველყოფილნი არიან ცხელი სადილით. ბენეფიციარებს ხშირად წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი, მარტოხელა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათთან ხორციელდება სადილის ბინაზე მიტანა. სამსახურის მეორე პროგრამული მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების (რომელთა რეესტრში ჩართვა ხდება მერიის სოციალური დახმარების გამცემი მუდმივი

კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე) მშრალი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა. ყოველი თვის 20 რიცხვიდან თვის ბოლომდე.

ბენეფიციართა საერთო რიცხვი 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით შეადგენდა ქ. თეთრიწყაროში 56 ოჯახის - 107 წევრს, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში 96 ოჯახის - 419 წევრს. საერთო ჯამი 152 ოჯახი - 525 ბენეფიციარი.

2023 წელს აქტიური სამუშაოები განახორციელა ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრმა“. ცენტრის ბიუჯეტმა წლის დასაწყისში შეადგინა 2 039 000, ხოლო წლის ბოლოს 2 3876 200.

2023 წლის მდგომარეობით, ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი“ აერთიანებდა 11 სპორტულ მიმართულების (ესენია: ფეხბურთი, კრივი, რაგბი, მკლავჭიდი, სამბო, კარატე, ძიუდო ფრენბურთი, კალათბურთი, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობა) 20 მდე სექციას მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში. ცენტრის ბაზაზე მოქმედ სექციებში, სპორტის სხვადასხვა სახეობას ეუფლება სულ 474 ბავშვი.

ხელოვნების განყოფილებაში გაერთიანებულია 12 წრე, სადაც 146 მოსწავლე-ახალგაზრდა იღებს ჰობი-განათლებას.

ცენტრში, ასევე გაერთიანებულია 8 სხვადასხვა მიმართულება: 3 ქორეოგრაფიული (206 მოსწავლე), 2 ფოლკლორული ანსამბლი (17 წევრი), ქართული ხალხური საკრავები (61 მოსწავლე), გიტარის წრე (15 მოსწავლე), ორი ბავშვთა საესტრადო წრე (15 მოსწავლე).

ამავე ცენტრის ბაზაზე მოქმედ, კლასიკური მუსიკის სკოლაში, ფორტეპიანოს ეუფლება 179 მოსწავლე.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის ბაზაზე მოქმედი სექციების სპორტსმენებმა მოიპოვეს სხვადასხვა სინჯის მედლები, როგორც საქართველოს ჩემპიონატებზე, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

აღსანიშნავია ჩვენი ფეხბურთის გოგონათა გუნდი ,,ლეგენდა“ რომელმაც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატ „ქალთა ლიგა 2“-ში. ასევე თეთრიწყაროს ,,იუნკერები“, რომლებიც რაგბში წარმატებით ასპარეზობენ მეორე ლიგაში. ასევე წარმატებები აქვთ თეთრიწყაროს გოგონათა კალათბურთის გუნდს.

აღსანიშნავია მანგლისის კალათბურთის გუნდი. მათ მოკლე პერიოდში კარგი შედეგები აჩვენეს და უკვე მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ტურნირებში. როგორებიცაა

საქართველოს 14 წლამდე ჩემპონატი „ც“ ლიგა სეზონი 2022-23 და 2023-24 წლები, აგრეთვე ზაზა ფაჩულიას აკადემია.

მოსახლეობის დიდი მოთხოვნის გათვალისწინებით სოფ. ვაშლოვანში გაიხსნა თავისუფალი სტილით ჭიდაობის, ხოლო სოფ. სამღერეთში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის სექციები.

განვლილ საანგარიშო პერიოდში დიდი ყურადღება, ფინანსური რესურსი და ძალისხმევა მიემართა სპორტულ ინფრასტრუქტურას.

გარემონტდა და კეთილმოეწყო ქ.თეთრიწყაროში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ძიუდოს და კარატეს დარბაზი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სტანდრტებით. მოეწყო ცენტრალური გათბობა, გაკეთდა გოგონათა და ვაჟთა გასახდელი ოთახები.

სოფ. ჯორჯიაშვილში არსებული ძველი კლუბის შენობა, მთლიანდ დაპროექტდა თავიდან და მიმდინარეობს მისი თანამედროვე სტანდარტების დონეზე გარემონტება, სადაც გაიხსნება ძიუდოს სექცია. გარდა ამისა ცენტრი ეხმარება სოფლებს სხვადასხვა სპორტული ინვენტარით აღჭურვაში. სოფ. დიდ თონეთს გადაეცა სპორტული ტრენაჟორები.

2023 წელი ნაყოფიერად და აქტიურად მუშაობდა ხელოვნების და ფოლკლორის განყოფილება. აქტიური იყო ჩართულობა როგორც ადგილობრივ ისე გასვლით ღონისძიებებში.

1 თებერვალს წიგნის საჯაროდ კითხვის დღე აღინიშნა, სოფლის ბიბლიოთეკებში ჩატარდა ღონისძიებები.

8 თებერვალს ცენტრის სააქტო დარბაზში, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, მოეწყო ხელოვნების განყოფილების ნამუშევრების გამოფენა, გოგონათა კვარტეტმა „ათინათმა“ წარმოადგინა მუსიკალური ნომრები.

8 მარტს ცენტრის დარბაზში ჩატარდა დედის დღის და ქალთა საერთასორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

28 მარტს ცენტრის სააქტო დარბაზში ჩატარდა პოეზიის საღამო „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ადგილობრივმა მოქალაქეებმა. მათ საზოგადოებას გააცვნეს საკუთარი ლექსები.

2 მაისს საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ბიბლიოთეკებისა და სკოლების ურთიერთკავშირში ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილების ორგანიზებით სსიპ სამშვილდის საჯარო სკოლაში მოაწყო ქართული წიგნის კითხვის დღე. მუნიციპალიტეტის მერმა სკოლას გადასცა ქართული საბავშვო ლიტერატურა.

კვირეულის ფარგლებში ყველა სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამოები.

11 მაისს ხელოვნების განყოფილებამ სააქტო დარბაზში ჩაატარა ღონისძიება წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილების დღესთან დაკავშირებით.

15 მაისიდან დაიწყო ცენტრში შემავალი ყველა სექციის და წრის შემჯამებელი ღონისძიებები. შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც ცენტრის წლის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

კულტურისა და ფოლკლორის განყოფილება აღნიშნავს მიმდინარე წლის ყველა ღირშესანიშნავ თარიღს ფართომასშტაბიანი ან მცირე ღონისძიებით.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა - განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს ორგანიზებით, მერიის სააქტო დარბაზში, ბავშვთა დაცივს საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო-მუსიკალურმა თეატრმა ,,ჭინჭრაქა“ ბესო ლომსაძის რეჟისორობით სპექტაკლი ,,რწყილი და ჭიანჭველა“ წარმოადგინა.

2023 წლის 1 ივლისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და ააიპ ,,კულტურისა და სპორტის ცენტრის“ ორგანიზებით, მარაბდის ველზე, ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალთან, სახალხო ღონისძიება ,,მარაბდობა 2023“ გაიმართა.

წელს 12 აგვისტოს რაჭაში კურორტ შოვში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგად შექმნილი ვითარების გამო „დიდგორობა 2023“-ის დაგეგმილი საკონცერტო და სპორტული ღონისძიებები არ ჩატარებულა. 12 აგვისტოს, მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტრპოპოლის ანანია ჟაფარიძის მიერ დიდგორის ველზე მდებარე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში მოხდა მიცვალებულთა მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდა.

30 სექტემბერს ქ. თეთრიწყაროში, ციყვების პარკში ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული სახალხო დღესასწაული „გარისობა 2023“. ღონისძიებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის ყველა თემი.

აღსანიშნავია ის, რომ ცენტრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გასვლით ღონისძიებებში, როგორიცაა „მარნეული 2023“, „დმანისობა 2023“, „ თბილისობა 2023“, „ბოლნისობა 2023“, „არტ გენი“ და სხვ.

ჩვენმა უხუცესთა ფოლკლორმა ანსამბლამა „დიდგორმა“, მონაწილეობა მიიღო ქ. საჩხერეში „ქართული საგალობლები“ ფესტივალში.

2023 წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა მუზეუმის ინფრასტრუქტურული გამოწვევების გადაწყვეტის თვალსაზრისით. დასრულდა ძირითადი სარემონტო სამუშაოები და დაიწყო ექსპოზიციების განახლებაზე მუშაობა, სპეციალისტების ჩართულობით.

2023 წელს აქტირად ხორციელდებოდა მერის ინიციატივა მოსწავლე-ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრების ხელშეწყობის კუთხით. სწორედ აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ბოლნისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ლაშა ნოზაძის მიწვევით, სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეები სკოლის დირექტორთან და დამრიგებელთან ერთად, ლაშა ნოზაძის რეჟისორობით შექმნილ სპექტაკლს - ,,კრიტი", ბოლნისის თეატრში დაესწრნენ.

2023 წელს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ კვლავ განახორციელა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში პროფესიული განვითარების, განათლების ხელშეწყობის და ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა, რომელის ფარგელბში მოხდა წარმატებული სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტების, მაგისტრანტობის კანდიდატების და სტუდენტების, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით დაჯილდოება, ამასთანავე ადგილობრივი და სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერა, ხელოვნების დარგში მოღვაწე მოქალაქეთა და ჯგუფების ხელშეწყობა, ბასილ მელიქიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიის გაცემა და მიზნობრივ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მხარდაჭერა.

2023 წელს ღნიშნული პროგრამის ფარგელბში ჯამში შემოვიდა 19 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 13. გაიცა:

- 3 ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია სკოლის მოსწავლეებისთვის - 26 მოსწავლე;
- ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია აბიტურიენტებსა და მაგისტრანტობის კანდიდატებზე - 10 აბიტურიენტი, 1 მაგისტრანტობის კანდიდატი;
- ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია სტუდენტებზე - 12 სტუდენტი;
- ბასილ მელიქიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია - 1 მოქალაქე;
- მიზნობრივ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა მხარდაჭერა - 1 მოქალაქე;

- ხელოვნების დარგში მოღვაწე - 3 მოქალაქე, 1 შემოქმედებითი ჯგუფი;
- სოციალური ინიციატივის თანამონაწილეობითი დაფინანსება - 1 ინიციატივა.

2023 წლის საანგარიში პერიოდში სამსახურმა მიიღო და რეაგირება მოახდინა 1500-ზე მეტ წერილზე/განცხადებაზე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სამსახურის მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, შემუშავდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტაცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სამსახური აგრძელებს აქტიურ მუშაობას, დებულების შესაბამისად.